

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი

თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”

„ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის შემუშავება განაპირობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამ და აღნიშნული კანონით „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადებამ.

კანონპროექტი ითვალისწინებს „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონთან.

„სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონისაგან განსხვავებით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს ნებართვის მოქმედების შეჩერებას და სანებართვო პირობების დარღვევისათვის აღნიშნული კანონი (მუხლი 34) აწესებს ნებართვის მფლობელის დაჯარიმების პრინციპს. წინამდებარე კანონპროექტით აღნიშნული ცვლილება ასახულია „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონშიც. გარდა ამისა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად დგინდება ჯარიმის განაკვეთები ნებართვის მფლობელთა მიერ სანებართვო პირობების დარღვევისათვის.

„ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის მიზანია ასევე სათამაშო ბიზნესის სფეროში, ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების გამარტივება, ნებართვის მძიებელი პირების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის შემცირება. წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხიდან ამოღებულია ის საბუთები, რომლებიც სამართლებრივად არ არის დაკავშირებული ზოგად სანებართვო პირობებთან და თავისი შინაარსით ვერ იქნება ნებართვის გაცემის საფუძველი. კანონპროექტის მიღება ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ პროცედურულ

სიროულეებს მოუხსნის რიგორც ნებართვის მძიებელ პირებს, ისე ნებართვის გამცემ ორგანოს და „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი სრულ შესაბამისობაში მოვა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.